შეთანხმება №324-1

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2014 წლის 1 მაისის №324 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

თბილისი 22 მაისი 2014 წელი

ერთის მხრივ სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) მისი გენერალური დირექტორის ამირან გამყრელიძის სახით და მეორეს მხრივ, ააიპ „ეროვნული სკრინინგ ცენტრის“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი გენერალური დირექტორის რემა ღვამიჩავას სახით, თანხმდებიან მასზედ რომ 2014 წლის 1 მაისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №324 ხელშეკრულებაში შევიდეს ცვლილებები:

1. მე-2 მუხლის „ხელშეკრულების ღირებულება“ პუნქტი 2.1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შედგენს 394,908,00 (სამასოთხმოცდათოთხმეტიათას) ლარს, მ.შ. თვეში გასაწევი მომსახურეობის ღირებულება შეადგენს 98,727.00 (ოთხმოცდათვრამეტიათას შვიდასოცდაშვიდი) ლარს.“
2. მე-4 მუხლი „ხელშეკრულების ობიექტი“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   4.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში „კიბოს სკრინინგის“ კომპონენტის ფარგლებში მომსახურება (შემდგომში „მომსახურება“):
   4.1.1 ძუძუს კიბოს სკრინინგი (ხელოვნური კოდი - **131101**, ერთეულის ღირებულება - 21 ლარი) 40–70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში - ბენეფიციართა საპროგნოზო რაოდენობა თვეში -2000, რომელიც მოიცავს:
   ა) მამოლოგის გასინჯვას;
   ბ) მამოგრაფიულ გამოკვლევას (2 რადიოლოგის მიერ წაკითხვით);
   გ) ექოსკოპიურ გამოკვლევას საჭიროების დადასტურების შემთხვევაში;
   4.1.2 საშვილოსნოს ყელის სკრინინგი (ხელოვნური კოდი - **131102**, ერთეულის ღირებულება - 17 ლარი) 25–60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში - ბენეფიციართა საპროგნოზო რაოდენობა თვეში - 2500, რომელიც მოიცავს:
   ა) გინეკოლოგის გასინჯვას;
   ბ) პაპ–ტესტის (PAP–ტესტი) ჩატარებას ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით;
   4.1.3 საშვილოსნოს ყელის კოლპოსკოპიური სკრინინგი ((ხელოვნური კოდი - **131103**, ერთეულის ღირებულება - 14 ლარი) 25–60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში - ბენეფიციართა საპროგნოზო რაოდენობა თვეში - 250, რომელიც მოიცავს:
   ა) საჭიროების დადასტურების შემთხვევაში კოლპოსკოპიის ჩატარებას;
   4.1.4 საშვილოსნოს ყელის კოლპოსკოპიური სკრინინგი მორფოლოგიით (ხელოვნური კოდი - **131104**, ერთეულის ღირებულება - 27 ლარი) 25–60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში - ბენეფიციართა საპროგნოზო რაოდენობა თვეში - 20, რომელიც მოიცავს:
   ა) საჭიროების დადასტურების შემთხვევაში კოლპოსკოპიის ჩატარების შემდეგ აღებული ბიოფსიური მასალის მორფოლოგიურ გამოკვლევას.
   4.1.5 პროსტატის კიბოს სკრინინგი (ხელოვნური კოდი - **131105**, ერთეულის ღირებულება - 9 ლარი) 50–70 წლის ჩათვლით ასაკის მამაკაცებში - ბენეფიციართა საპროგნოზო რაოდენობა თვეში - 513, რომელიც მოიცავს:

ა) სისხლში პროსტატის კიბოს ანტიგენის გამოკვლევას;

4.1.6 **კოლორექტული კიბოს სკრინინგი** (ხელოვნური კოდი - **131106**, ერთეულის ღირებულება - 5 ლარი) 50–70 წლის ჩათვლით ორივე სქესისათვის - ბენეფიციართა საპროგნოზო რაოდენობა თვეში - **500**, რომელიც მოიცავს:

ა) ფარულ სისხლდენაზე სპეციალური ტესტის ჩატარებას;

4.1.7 **კოლონოსკოპიური სკრინინგი** (ხელოვნური კოდი - **131107**, ერთეულის ღირებულება - 56 ლარი) 50–70 წლის ჩათვლით ორივე სქესისათვის - ბენეფიციართა საპროგნოზო რაოდენობა თვეში - 50, რომელიც მოიცავს:

ა)საჭიროების დადასტურების შემთხვევაში კოლონოსკოპიის ჩატარებას;

4.1.8 **კოლონოსკოპიური სკრინინგი მორფოლოგიით** (ხელოვნური კოდი - **131108**, ერთეულის ღირებულება - 27 ლარი) 50–70 წლის ჩათვლით ორივე სქესისათვის - ბენეფიციართა საპროგნოზო რაოდენობა თვეში - 10, რომელიც მოიცავს:

ა) საჭიროების დადასტურების შემთხვევაში კოლონოსკოპიის ჩატარების შემდეგ აღებული ბიოფსიური მასალის მორფოლოგიურ გამოკვლევას.

4.1.9 საპროგნოზო რაოდენობის ცვლილება თანხის თვის ლიმიტის ფარგლებში დასაშვებია.

4.1.10 გამოსაკვლევ პირებისთვის პირველადი სკრინინგის (როდესაც ბენეფიციარს აღნიშნული სკრინინგი პროგრამით უტარდება პირველად) ჩატარება ერთჯერადად;

4.1.11 მეორადი სკრინინგი ტარდება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ექიმის რეკომენდაციით;

4.1.12 განმეორებით სკრინინგული კვლევის ჩატარება შესაძლებელია რეკომენდირებული პერიოდებით: ა) ძუძუს კიბოს სკრინინგი - ორ წელიწადში ერთხელ; ბ) საშვილისნოს ყელის კიბოს სკრინინგი-სამ წელიწადში ერთხელ, გ)პროსტატისა და მსხვილი ნაწლავის სკრინინგი- ყოველწლიურად.

4.1.13 სკრინინგის შედეგების სტატისტიკური ანალიზი და შედეგების წარმოდგენა ეპიდემიოლოგიური ანალიზის სახით;

4.1.14 მოსახლეობისათვის პროგრამით განსაზღვრული სერვისებისადმი მაქსიმალური გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა ქვეკონტრაქტორი დაწესებულებების საშუალებით:

4.1.14.1. ყველა ქვეკონტრაქტორის ხელშეკრულების ასლი წარმოდგენილ უნდა იყოს სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში.

4.1.14.2. ყველა ქვეკონტრაქტორის ქმედება უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო პროგრამის ძირითად ამოცანებს.

3. ხელშეკრულების დანარჩენი პირობები, რომელსაც შეთანხმება არ შეხებია, უცვლელი რჩება.

4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2014 წლის 1 მაისს №324 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

5. შეთანხმება შედგენილია სამ ეგზემპლარად, საიდანაც ორი ეგზემპლიარი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო ერთი ეგზემპლარი „მიმწოდებელთან" და ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან.

„შემსყიდველი"	*„მიმწოდებელი"*
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ.დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"	სსიპ ეროვნული სკრინინგ ცენტრი
გენერალური დირექტორი:	დირექტორი:
_____ ამირან გამყრელიძე	_____ ნელი ლომაძე
მ. ა.	*მ. ა.*